პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 11 (4521) 16 იანვარი, კვირა. 1972 წ. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები

# მიზანი — XX ოლიმპიადა

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრთა სამზადისს მუდამ რაღაც კონკრეტული მოვლენა უდევს საფუძვლად. ზოგჯერ ეს მოვლენა ევროპული ჩემპიონატია, ზოგჯერ მსოფლიო პირველობა ან კიდევ სხვა დიდი საერთაშორისო ტურნირი. წლევანდელი სამზადისის მთავარი მიზანი მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშებია და ნაკრები გუნდების წევრთა საქმიანობაც ამ მიმართებით მიმდინარეობს.

სამაგალითოდ შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს ძიუდოისტთა მდგომარეობა. ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის ძიუდოისტთა ცხოვრებაში აქტიურ როლს თამაშობენ ქართველი ათლეტები, კერძოდ თბილისისა და გორის სპორტსმენები. შემთხვევით როდია ეს ორი ქალაქი ოლიმპიური სამზადისის საყრდენ პუნქტებად დასახელებული. დღეისთვის სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატად შვიდი ქართველი ძიუდოისტი ითვლება: ა. მარტყოფლიშვილი და შ. ფიცხელაური (63 კგ წონით კატეგორიაში), გ. გოგოლაური და რ. ხარშილაძე (80 კგ), გ. ონაშვილი და ნ. ექვთიმიშვილი (მძიმე), აგრეთვე შ. ჩოჩიშვილი (ქვემძიმე). ეს სია, რა თქმა უნდა, არ არის შეუცვლელი და საბოლოო. მიუნხენის ბატალიებამდე ძიუდოისტებს არაერთხელ მოუწევთ თავიანთი ძალისა და ოსტატობის შემოწმება და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდება ნაკრების საბოლოო ვარიანტი. მაგრამ 7 მოქმედი კანდიდატი უკვე თავისთავად საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში აქცენტი საქართველოს სპორტსმენებზე იქნება გადატანილი. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა.

როგორ მიმდინარეობს ნაკრების წევრთა წვრთნა და მზადება? ამის შესახებ „ლელოს" კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ბ. მაზიაშვილი. მასთან ერთად ამ პასუხსაგებ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ მწვრთნელები ს. ჩიტაშვილი და ო. გულისაშვილი, აგრეთვე, ნაკრების წევრი და ძიუდოს ერთ-ერთი ვეტერანი ჩვენს ქვეყანაში ა. მარტყოფლიშვილი.

საუბრის დასაწყისში ბ. მაზიაშვილმა ერთგვარი კორექტივი შეიტანა ჩვენს სიაში და აღნიშნა, რომ ზემოჩამოთვლილი ქართველი ძიუდოისტები ნაკრების დამტკიცებული წევრები არიან, ხოლო კანდიდატთა სიას დაუმატა ორი კაცი — გ. თანდილოვი და ჯ. ნიჟარაძე — ორი მძიმეწონოსანი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბოლო შეჯიბრებებში. მით უკეთესი. 9 მონაწილე ერთი ორად ზრდის ოლიმპიურ ნაკრებში საქართველოს ძიუდოისტთა მონაწილეობის საკითხს.

მაგრამ ოლიმპიური თამაშები გრძელი და მომქანცველი მზადების ბოლო ჯაჭვია, რომელსაც წინ უსწრებს პასუხსაგები ტურნირების მთელი სერია. ამ ტურნირებმა ნელ-ნელა, მაგრამ საიმედოდ უნდა დაწურონ ნაკრების შემადგენლობა და ბოლოს იგი 6 სპორტსმენამდე დაიყვანონ.

12-13 თებერვალს თბილისში ჩატარდება ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. ეს იქნება ნაკრების პირველი სერიოზული გამოცდა ოლიმპიურ სეზონში. თბილისის ტურნირი დაასახელებს 2-2 მონაწილეს ყოველ წონაში, რომელთაგანაც შედგება ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი გუნდი. კონტინენტის ჩემპიონატი ნაკრების წევრებს კიდევ უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს, აქ გაირკვევა ყოველ წონაში იმ თითო სპორტსმენის გვარი, რომლებსაც მიუნხენის ვიზები გადაეცემათ.

დავინტერესდით, კონკრეტულად როგორ ემზადებიან ამ მართლაც მძიმე გამოცდებისთვის ქართველი ათლეტები. აი, რა გვიამბო ბ. მაზიაშვილმა:

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი ჩვენი ოლიმპიური სამზადისის ჭეშმარიტი შეფია. ეს ყველა ჩვენგანს ძალასა და ენერგიას მატებს, ვინაიდან ვიცით, რომ ვიღაც დაინტერესებულია და ზრუნავს ჩვენზე, კონტროლს გვიწევს და გვეხმარება მძიმე დღეებში. მეცადინეობებს ფალავანთა კლუბში ვატარებთ კვირაში ხუთჯერ. ნაკრების ყველა წევრს აქვს თავისი ინდივიდუალური გრაფიკი, რომელიც ზუსტად და უსიტყვოდ სრულდება.

მაგრამ ჩვენს სამზადისს აქვს ერთი ყველასგან განსხვავებული თავისებურება. ეს სპეციფიკა ქართველი მოჭიდავეების ბუნებიდან გამომდინარეობს. საქმე ისაა, რომ ჩვენი ბიჭები ძიუდომდე ხაკმაოდ გრძელი და დახლართული გზით მივიდნენ. ისინი ჯერ ეროვნული ჭიდაობით იყვნენ გატაცებული, მერე სამბოთი, და მხოლოდ ამის შემდეგ გახდნენ ძიუდოისტები. რუსეთის ფედერაციის ან უკრაინის ათლეტებს უფრო მოკლე გზა ჰქონდათ: სამბოდან პირდაპირ ძიუდოში, ეს კი ერთიორად ამსუბუქებს მათი მწვრთნელების მდგომარეობას.

ქართულ ჭიდაობაში, სამბოში და ძიუდოში ბევრია მსგავსი ელემენტი, მაგრამ ბევრია განსხვავებულიც. ხშირად წვრთნის პროცესში სპორტსმენებს ერთმანეთში ერევათ, რა არის დასაშვები ძიუდოში და რა დაუშვებელი. ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ იმაზე თუ როგორ დავაღწია თავი ამ უხერხულობისგან და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ სსრ კავშირის ნაკრების წევრებს ოლიმპიადამდე არ უნდა მივცეთ სხვა სახის შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება.

მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. წვრთნის პროცესში ყურადღება ექცევა ამა თუ იმ სპორტსმენის სუბიექტურ თავისებურებებს. მაგალითად, ჩვენ კარგად ვიცით, რომ შ. ფიცხელაურს არ ჰყოფნის ხოლმე ძალა, რათა ტურნირის დასკვნითი ნაწილი მსუბუქად და დაუძაბავად ჩაატაროს. ამიტომაც მზადების პროცესში მთავარ ყურადღებას ფიზიკურ მომზადებას ვაქცევთ.

სულ სხვაა, ვთქვათ, გ. გოგოლაური. მას ძალა და ენერგია ორი ტურნირისთვისაც საკმარისი აქვს. ამიტომ ყურადღებას ტექნიკის დახვეწაზე ვამახვილებთ. გ. ონაშვილს სპორტული ჟინი აკლია, სწრაფვა გამარჯვებისკენ — ცხადია, წვრთნის პროცესშიც მეტწილად საჭირო თვისებების გამომუშავებაზე ვზრუნავთ.

და კიდევ ერთი დეტალი, რომელსაც ჩვენ, მწვრთნელები, ხაგანგებო მნიშვნელობას ვანიჭებთ. ეს არის ძირითად მეტოქეთა სუსტი და ძლიერი მხარეების შესწავლა და წვრთნის წარმართვა სწორედ ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ 63 კგ წონით კატეგორიაში, მაგალითად, ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტი ფრანგი მუნიე იქნება. მძიმეში — ჰოლანდიელი რიუსკა, 80 კგ წონაში კი მუნიეს თანამემამულე ოფრე. ისინი მაღალი კლასის ოსტატები არიან, მაგრამ ნაკლი უდავოდ აქვთ. აი, ამ ხარვეზების გამოყენება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ვინაიდან, რაღა დავიმალოთ, პრეტენზიას უმაღლეს ტიტულებზე ვაცხადებთ.

ერთი სიტყვით, წვრთნის პროცესში უამრავი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი. მაგრამ ამ პრობლემათა სირთულე არ გვაშინებს, ვინაიდან ყველა ერთი სურვილითაა შეპყრობილი — ევროპის ჩემპიონატში იასპარეზოს და იქ ბრძოლით მოიპოვოს ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრის უფლება.

ნ. ახვლედიანი.

## ჭადრაკი —72

● ვეიკ-ან-ზეე, 14 იანვარი. ჰოლანდიის ამ ქალაქში მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის III ტურში სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. სავონმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჰოლანდიელ ი. დონერთან. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა შავებით წააგო უნგრელ დიდოსტატ ლ. პორტიშთან. ლიდერობს ესპანელი ა. პომარი — 3 ქულა. სავონს 1,5 ქულა აქვს, სმისლოვს — 1.

● ჰასტინგსი, 14 იანვარი. საახალწლო საჭადრაკო ტურნირის XIV ტურის მთავარი მოვლენა, რა თქმა უნდა, იყო 19 წლის ბრაზილიელის ე. მეკინგის ყაიმი რუმინელ ვ. ჩოკილტიასთან. ამ ნახევარმა ქულამ მეკინგი მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა საერთაშორისო დიდოსტატად აქცია. ამავე დროს იგი ამ წოდების პირველი მფლობელია ბრაზილიაში. მეკინგს ახლა 9 ქულა აქვს და ამერიკელ რ. ბირნთან ერთად III ადგილს იყოფს. პირველი მარცხი იწვნია შეჯიბრების ლიდერმა, ლენინგრადელმა ა. კარპოვმა, რომელმაც წააგო თანაქალაქელ ვ. კორჩნოისთან. ამრიგად, ლიდერია კორჩნოი, რომელსაც 10,5 ქულა აქვს. კარპოვი მას 0,5 ქულით ჩამორჩება.



სურათზე: ა. კარპოვი (მარჯვნივ) და ვ. კორჩნოი.

იუპი-საკდესის ფოტო.

● ჩერნიგოვი, 14 იანვარი. აქ მიმდინარე იუნიორ მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატში 7 ტურის შემდეგ ლიდერობენ მოსკოველები ა. ბიხოვსკი, დ. ლოსევი და ლენინგრადელი ა. კოჩიევი, რომლებსაც 5,5-5,5 ქულა აქვთ. ლიდერთა ჯგუფში შედის თბილისელი გ. ზაიჩიკიც, რომელსაც 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. ამდენივე ტურის შემდეგ გოგონათა შორის ერთპიროვნული ლიდერია ჟიტომირელი ნ. გასიუნასი — 6,5 ქულა. VII ტურში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ლიდერის შეხვედრა ბათუმელ მოსწავლე ნ. ფურმანთან. დიდხანს უპირატესობას ფურმანი ფლობდა, ამასთან მეტოქე სასტიკ ცაიტნოტში იყო, მაგრამ გასიუნასმა მაინც გაიმარჯვა. ფურმანს 4,5 ქულა აქვს.

● ტალინი, 14 იანვარი. 20 იანვარს აქ დაიწყება მატჩი მსოფლიო პირველობაზე ახუჯრიან შაშში. ერთმანეთს შეხვდებიან მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი, რიგელი ა. ანდრეიკო და პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებული, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, კიეველი ი. კუპერმანი.

● მოსკოვი, 14 იანვარი. დედაქალაქის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში გამოვლინდნენ ნახევარფინალის მონაწილენი როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ერთეულების თანრიგში. ესენი არიან: ბირიუკოვა—ერიომინა, ტროშინა—გრანატუროვა, ვოლკოვი—ივანოვი და ლამპი—კოროტკოვი.

● ჰობარტი (ავსტრალია), 14 იანვარი. ტასმანიის შტატის ღია ჩემპიონატში წარმატებით აიღეს სტარტი საბჭოთა ჩოგბურთელებმა ა. მეტრეველმა და ო. მოროზოვამ. პირველმა მოუგო ჯერ ავსტრალიელ პ. კრონკის — 6:1, 6:1, შემდეგ კი კანადელ დ. მაკორმიკს — 3:6, 6:0, 6:3. მოროზოვამ დაამარცხა კ. ჩერატო (ავსტრალია) — 6:0, 6:0 და ა. ლებედეფი (აშშ) — 6:0, 6:3.

● ბოლცანო (იტალია), 14 იანვარი. აქ გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში საბჭოთა მოთხილამურეებმა ნ. ემელინმა, ვ. როშჩევმა და ი. ბრაგინმა გაიმარჯვეს ესტაფეტაში 3×10 კმ — 1:36.47,4. მათ 7,5 წამით ჩამორჩნენ დასავლეთგერმანელი სპორტსმენები. III ადგილი დაიკავა გდრ-ის გუნდმა.

## [illegible]

დავოსი, 14 იანვარი. შვეიცარიის ამ მაღალმთიანი აგარაკის საციგურაოზე დამყარდა რამდენიმე მსოფლიო რეკორდი: ვაჟები. 500 მ. ლინკოვესი (ფინეთი) — 38,0. სპრინტერული მრავალჭიდი. ლინკოვესი — 156,500. ქალები. 500 მ. ჰენინგი (აშშ) — 42,5. 1000 მ. ჰენინგი — 1,27,3.

# ამჯერად „ვერცხლი"

გეტებორგი, 15 იანვარი. მოსკოველი ფიგურისტები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი, ევროპის სამგზის ჩემპიონები სპორტულ ცეკვებში, წლევანდელ ასპარეზობაში მხოლოდ „ვერცხლის" ლაურეატები გახდნენ. კონტინენტის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭეს გფრ-ის წარმომადგენლებმა ა. და ე. ბუკებმა. გამარჯვებულებმა 514,9 ქულა დააგროვეს. საბჭოთა წყვილი მათ 3,6 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილის მფლობელები გახდნენ ჯ. სოუბრიჯი და პ. დელბი (ინგლისი). ექვსეულში მოხვდა აგრეთვე, ორი საბჭოთა წყვილი — ტ. ვოიტიუკი — ვ. ჟიგალინი (მეხუთე ადგილი) და ე. ჟარკოვა — გ. კარპონოსოვი (მეექვსე ადგილი).

# მკვლევართა უპირატესობით

დამთავრდა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პირველობები კალათბურთსა და ფრენბურთში საწარმო-დაწესებულებების ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის.

კალათბურთში პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ „საქალაქმშენის" საპროექტო ინსტიტუტის, სამშენ მასალათა და სამშენებლო მექანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გუნდები. „საქალაქმშენისა" და სამშენებლო მექანიკის კვლევითი ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში მექანიკოსებმა მეტოქე დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს — 45:42. გამარჯვებულ გუნდში ყველაზე შედეგიანები იყვნენ გამოჩენილი სპორტსმენის ზურაბ საკანდელიძის ძმა — ანზორი და თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელთა მწვრთნელის მიხეილ კეკელიძის ვაჟი — მერაბი.

ფინალში მექანიკოსების წინააღმდეგ სამშენ მასალათა კვლევითი ინსტიტუტის გუნდი თამაშობდა. ამჯერად გამარჯვების ბედი სამშენ მასალათა გუნდის სასარგებლოდ გადაწყდა — 61:37.

ფრენბურთელთა ასპარეზობაში გუნდები ორ ჯგუფად დაიყვნენ. პირველში საპროექტო ორგანიზაციები ასპარეზობდნენ, მეორეში — საწარმოთა კოლექტივები. ჯგუფებში ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა. I ჯგუფში ყველას აჯობა მცირე სიმძლავრის მანქანების საკავშირო სამეცნიერო საკვლევ-საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა. II ჯგუფში იმარჯვა ტყავსაგალანტერიო ფაბრიკის ნაკრებმა.

ზ. ალექსიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სახელი უღირდა ძვირფასად!"

## გაზეთი „ივერია" სპორტული ეთიკის შესახებ

ქართველი მოჭიდავეების, ლელოსბურთელების, ცხენოსნების, მოკრივეებისა თუ სპორტის სხვა ეროვნული სახეობების წარმომადგენელთა ეთიკაზე მსჯელობა ქართული პრესის ფურცლებზე განსაკუთრებით გახშირდა მას შემდეგ, რაც კაპიტალიზმის განვითარებამ თავისი ხელი დაატყო ერის კულტურულ ცხოვრებას, მასთან სპორტულ მოძრაობასაც.

ქართული სპორტის ტრადიციების შერყვნა, სპორტული ეთიკის დარღვევის შემთხვევების გახშირება სხვა გაზეთებს შორის განსაკუთრებით აწუხებდა ილია ჭავჭავაძის „ივერიას". „ძველად, — წერდა იგი, — როცა ჩვენებს ისეთი გასართობი არა ჰქონდათ-რა, როგორც თეატრი და ოპერა, ცირკი და კონცერტები, სხვაფრივ ატარებდნენ დროს. არც მაშინდელი დროს გატარება იყო ცარიელი ლოთობა და ჯოხების ტრიალი და ჟახაჟუხი. ბურთი, ჯირითი, ცხენის ჭენება, ყაბახი და აქა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი. შეიცვალა დრო, შეიცვალა გართობა და ეხლა ხულ სხვასა ვხედავთ". თუ რა იყო „ეს სხვა", ამის შესახებ სინანულით, მაგრამ სამართლიანად შენიშნა ცნობილმა ფალავანმა კულა გლდანელმა: „კარგად მოგეხსენებათ, — წერდა გლდანელი 1887 წლის 7 ივნისის „ივერიაში", — რომ ყოველ კაცს, რაც უნდა ბევრი ხელობა იცოდეს, ერთი ამ ხელობათაგანი უფრო უყვარს, უფრო გულის მახლობლად მიაჩნია. ამ მისის საყვარელ ხელობის დამცირება და შეურაცხყოფა მისთვის სიკვდილია. წინათ ეს ჩემი საყვარელი საგანიც, ფალავნობაც, ხელობა იყო. მართალია, მაშინ მას სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, სხვა გზაზედ მიდიოდა და დღეს კი უფრო დაწვრილმანდა, ანგარიშის გზას დაადგა, მაგრამ რა გაეწყობა. აბა ერთი მიბრძანეთ, სხვა რომელი საგანია ამ ჩვენს ანგარიშის საუკუნეში, რომ არ დაწვრილმანებულიყო და ანგარიშის გზას არ დასდგომოდა. დროებამ ყველაფერს თავის მსგავსი ფერი დაასვა".

„ივერიის" ავტორები იძულებულნი არიან გაახსენონ მკითხველსა და სპორტული მოძრაობის წარმომადგენლებს, თუ „რა ვიყავით იმა დროსა", რომ წინათ ყოველი სპორტული შეჯიბრება რაინდობისა და კაცური კაცობის ზეიმი იყო. „ვის უნახავს ადრე ან ცუდა-მადა ჩხუბი კრივის დროს, ან კაცის დაჭრა-დაჩეხა, ან კაცის კვლა; ორი მხარე სწორად იბრძოდა, ერთმანეთს ეკვეთებოდა, მაცქერალნი მებრძოლთა სივაჟკაცით აღტაცებულნი დაჰკიჟინებდნენ და ამხნევებდნენ. დღეს კი ამ ჩვეულებას ფერი ეცვალა" (1887, № 32), ასევე იყო ჭიდაობის დროსაც. როგორც მაშინდელი ფელეტონისტი ა. ახნაზაროვი წერდა 1890 წელს (№ 183), „უწინ ჭიდაობდნენ, რომ მკლავის ძალა გამოეცადნათ, ღონეში გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს, სახელი მოეპოვებინათ. მოჭიდავე მაშინ გმირი იყო, ფალავანი და ღირსეულ მეტოქეს პატივისცემით ეკიდებოდა, არას უშილთაღებდა; გამოდიოდა მოედანზე და ხეირს არაფერს დაგიძებდათ, თუნდა დაცემულიყო და თუნდა დაეცა მოწინააღმდეგე, მხოლოდ სახელი უღირდა ძვირფასად, სახელი იყო იმის სასყიდელი, იმისი თავის მოსაწონებელი და სიქადული. ეხლა-ღა? ეხლა ეს სახელიც სახრავად და მწველავ ფურად, ქვეყნის თვალის ასახვევად და ჯიბის დასამჩატებლად გადაიქცა".

სპორტული ეთიკის შესახებ მსჯელობისას „ივერია" განსაკუთრებული დიდებით იხსენიებს სახელმოხვეჭილ ფალავნებს ხიზაბავრელსა და კოპიტიშვილს „ივერია" (1888, № 113) ხაზგასმით მიუთითებს, რომ ეს ორი ფალავანი „უსასყიდლოდ აცქერინებდნენ ხეირს ღარიბებს, მდაბიო ხალხს და მხოლოდ მდიდრის საჩუქარსა სჯერდებოდნენ. ამ ფალავნებს ის სანაქებო ზნეცა ჰქონდათ, რომ თუ არ განთქმულ მოჭიდავეს, ნაყარ-ნუყარს არ დაეჭიდებოდნენ. ეხლა ასე აღარ არის!"

ხიზაბავრელს „ივერია" (1888, № 169) ხატავს, როგორც რაინდული ქცევისა და მაღალადამიანური თვისებების მქონე კაცის ნიმუშს. წერილში „გლდანელი და ესებუა" ვინმე „ძველი მოჭიდავე" აღნიშნავს, რომ ხიზაბავრელი ჭიდაობაში არასოდეს იღებდა ფულს, „დღეობაში ხალხი რითაც შეგიძლიან უნდა შეაქციო და თვალის ხეირი უჩვენოო, იტყოდა ხოლმე, „სახელგანთქმულ და თავგასულ მოჭიდავეებს არა ჰზოგავდა. ახალგაზრდა მოჭიდავეს თუ შეატყობდა ხეირს, განგებ დიდხანს ათამაშებდა ხოლმე, თითქოს უნდა გაათამამოს და ასწავლოს ხერხებიო". შემდეგ ავტორი ასეთ ეპიზოდს იგონებს ხიზაბავრელის სპორტული ცხოვრებიდან: „ერთი ახალგაზრდა კახელი ეჭიდებოდა ერთხელ, მაგრამ ტახივით გამოვარდნილი ხიზაბავრელი რომ დაინახა, შეშინდა და დაწვა, აღარ გეჭიდებიო. „შე ლაჩარო, ვინ ქართველი და ვინ შიშიო, მიაძახა, ადე, დამეჭიდე, თორემ მოგკლავო", წამოაყენა და შეიბნენ. დიდხანს იჭიდავეს. ახალგაზრდას გული მიეცა, ორჯერ მოუნდომა კისრული ხიზაბავრელს, მაგრამ ვერ გადაიტანა. ბოლოს დაიძახა ხიზაბავრელმა, გაგვაშველეთო, და გააშველეს. „კაი ბიჭი ყოფილხარ, ცოდვაა შენი გალახვაო, წასჩურჩულა ხიზაბავრელმა და გადაჰკოცნა": ავტორი გულწრფელად წანობს, რომ „ფალავანდობა (ფალავნობა. ა. ც.) როგორღაც შესუსტდა ქართლ-კახეთში, თითქოს ბატონყმობასთან გაჰყვაო, და იმერეთში ხომ ხსენებაც აღარ ყოფილა. აქ სახალხო გმირების სახელი გაიძვერებმა დაიჭირეს და ბინძურად გალოთებულ ახალგაზრდობამ". მოჭიდავეო, — განაგრძობს ავტორი, — რაც უნდა დიდი წარმატებები ჰქონდეს მას, მხოლოდ კაცური ქცევით ფასდება, სხვანაირად მაღალი იდეალების მოტრფიალე მაყურებელი მხოლოდ სპორტულ გმირობას ჩქარა დაივიწყებსო. „ხალხის თვალში ვერავინ მოვა გმირად, თუ კეთილი მხარეც არა აქვს და საპნო არ არის. გინდ დევიც იყოს, იწამებს იმის ძლიერებას, მაგრამ გმირად არ ჩასთვლის და ხშირად ნაცარქექიასაცკი აჩაგვრინებს უსიამო გმირს".

სპორტული ეთიკის მოტრფიალე გაზეთი, ბუნებრივია, ვერ ითმენდა იმ უმსგავსოებას, რაც ხშირად ხდებოდა სპორტული შეხვედრების, განსაკუთრებით კი კრივის დროს: აზარტში შესული მოკრივეები ივიწყებდნენ ყოველგვარ ეთიკურ ნორმებს და პატიოსან ბრძოლას ხულიგნურ ჩხუბად აქცევდნენ ხოლმე. ამ არანორმალურ მდგომარეობასთან ბრძოლის მიზნით „ივერია" ხშირად ბეჭდავდა ანგარიშებს კრივში ჩატარებული შეჯიბრებების შესახებ, და თუ სპორტული ეთიკა ირღვეოდა, ხაზგასმით მიუთითებდა დამნაშავეებზე, რაც მთავარია, შავი ფერებით ხატავდა ამ დასაგმობი ქცევით გამოწვეულ შედეგებს. აი, რას წერდა გაზეთი 1886 წელს (№ 46) გორში გამართული კრივის შესახებ: „ზემო უბნელები თავიანთ დაფა-ზურნით მიუხტნენ ქვემო უბნელებს შუა ბაზარში და გაიმართა საშინელი გაცხარებული მუშტის კრივი და როცა ქვემო უბნელებმა გაირეკეს ზემო უბნელები, ამ დროს მაყურებლის ხალხის სიმრავლისაგან უცებ დაეშვა შუა ბაზრის ჩარდახი და პანტა-პუნტით ყირამალა წამოვიდა ზევიდამ ხალხი; ამათში იყვნენ რამოდენიმე მანდილოსნებიც და დაეცნენ მოკრივე ჯგუფ ხალხს. ამათი იღბალი, რომ ძირს არავინ დაეცა, თორემ სულს ველარ ჩამოაღწევდნენ. მოკრივე ხალხზეც არაფრად იმოქმედა ამ ამბავმა და მაინც გაცხარებულნი ერთმანეთს სცემდნენ და ფეხს არ არიდებდნენ ჩამოცვივნულ ხალხს და რამოდენიმე წამის შემდეგ ორი კაცი გამოიტანეს ცოცხალ-მკვდარი, ერთი სრულიად გონება მიხდილი იყო და ხმას აღარ იღებდა და მეორე საშინლად გულ-საკლავად კვნესოდა. საეჭვო არის მათი მორჩენა. ბოლოს გაიმართა ქვის კრივი, მაყურებლები სრულიად გაიფანტნენ და ისეთი ამბავი მოხდა, რომ თითქოს სეტყვა მოვიდა. ფანჯრები ისე დალეწეს, რომ აღარაფერი აღარ გაუშვეს. სახლის პატრონები ეშურებოდნენ კარების დაკეტვას და ფანჯრების ასაფარებლის მოგულვას, რომ თვითონ მაინც გადარჩენილიყვნენ. პოლიციამ ვერა გააწყო რა და არც უგონებდნენ. ბოლოს მოითხოვეს სალდათები, მაგრამ გვიანღა იყო და სიბნელისაგან ხალხი თვითონვე დაიშალა".

„ივერია" განსაკუთრებით მიუთითებს, რომ შეჯიბრების დროს სპორტულ ეთიკას ხშირად თავად-აზნაურები არღვევდნენ და ხალხს აშხამებდნენ სიამოვნებას. ასე მოხდა, მაგალითად, 1886 წლის 22 მაისს სამთავისის დღეობაზე, სადაც „ლხინს ჩვეულებრივ ჭიდაობაც მოჰყვა. რამდენიმე რჩეული ფალავანი შეიკრიბა აქ და გულის ფანცქალით ელოდა საჭიდაოდ თავის ვაჟკაცობის გამოჩენის ხანს. აი, ჭიდაობა გაიმართა, რომელსაც მოჰყვა ჩხუბი და დავი-დარაბა აზნაურების და თავადებისა. ხალხს მეტად უსიამოვნოდ დარჩა ეს ამბავი და ქვლესიაზედ არისხებდა უსიამოვნებისა და უწესოების ჩამომგდებთ. მხიარულება და ჭიდაობა კიდევ დიდხანს გასტანდა, რადგან ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ ყველა აღელდა, ყველას შეზიზღდა ზემოხსენებულთა საქციელი, რისთვისაც ხალხი იძულებული შეიქმნა უკმაყოფილოდ დაბრუნებულიყო შინისკენ. ერთის სიტყვით, დღეობამ უგემურად ჩაიარა".

ასე იბრძოდა ილიას „ივერია" სპორტულ მოძრაობაში პატიოსნებისა და მაღალადამიანური სულისკვეთების გამეფებისთვის; ეს ბრძოლა წარმოადგენდა შემადგენელ ნაწილს იმ დიდი კამპანიისა, რაც „ივერიამ" გააჩაღა ქართული სპორტის დიდი ტრადიციების აღდგენისთვის.

**ა. ციბაძე,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

# მსოფლიო რეკორდები

## მძლეოსნობა

1972 წლის 15 იანვრისთვის

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| | | **ვაჟები** | |
| **რბენა** | | | |
| 100 მ | 9,9 | ჯ. ჰაინსი (აშშ) | 1968 |
| | 9,9 | რ. სმითი (აშშ) | 1968 |
| | 9,9 | ჩ. გრინი (აშშ) | 1968 |
| 200 მ | 19,8 | ტ. სმითი (აშშ) | 1968 |
| | 19,8 | დ. ქუორი (იამაიკა) | 1971 |
| 400 მ | 43,8 | ლ. ევანსი (აშშ) | 1968 |
| 800 მ | 1.44,3 | პ. სნელი (ახალი ზელანდია) | 1962 |
| | 1.44,3 | რ. დაუბელი (ავსტრალია) | 1968 |
| 1500 მ | 3.33,1 | ჯ. რაიანი (აშშ) | 1967 |
| 5000 მ | 13.16,6 | რ. კლარკი (ავსტრალია) | 1966 |
| 10000 მ | 27.39,4 | რ. კლარკი (ავსტრალია) | 1965 |
| მარათონი (მილწევა) | 2:08.33,6 | დ. კლეიტონი (ავსტრალია) | 1969 |
| **თარჯრბენი** | | | |
| 110 მ | 13,0 | რ. მილბერნი (აშშ) | 1971 |
| 200 მ | 22,5 | მ. ლაუერი (გფრ) | 1959 |
| | 22,5 | გ. დევისი (აშშ) | 1960 |
| 400 მ | 48,1 | დ. ჰემერი (დიდი ბრიტანეთი) | 1968 |
| 3000 მ წინაღობებით | 8.22,0 | კ. ო'ბრაიენი (ავსტრალია) | 1970 |
| **ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 38,2 | აშშ ს ნაკრები (ჩ. გრინი, მ. პენდერი, რ. სმითი, ჯ. ჰაინსი) | 1968 |
| 4×400 მ | 2.56,1 | აშშ-ს ნაკრები (ვ. მეტიუსი, რ. ფრიმერი, ლ. ჯეიმსი, ლ. ევანსი) | 1968 |
| **სპორტული სიარული** | | | |
| 20 კმ (მილწევა) | 1:25.21,4 | გ. აგაპოვი (სსრ კავშირი) | 1968 |
| 50 კმ (მილწევა) | 3:55.36,0 | გ. აგაპოვი (სსრ კავშირი) | 1965 |
| **ხტომა** | | | |
| სიმაღლეზე | 229 | პ. მატცდორფი (აშშ) | 1971 |
| სიგრძეზე | 890 | რ. ბიმონი (აშშ) | 1968 |
| სამხტომი | 17.40 | პ. პერეს-დუენასი (კუბა) | 1971 |
| ჭოკით | 5.49 | ხ. პაპანიკოლაუ (საბერძნეთი) | 1970 |
| **ტყორცნა** | | | |
| ბადრო | 68,40 | ჯ. სილვესტრი (აშშ) | 1968 |
| შუბი | 92,70 | ი. კინუნენი (ფინეთი) | 1969 |
| ურო | 76.40 | ვ. შმიდტი (გფრ) | 1971 |
| ბირთვი | 21,78 | რ. მატსონი (აშშ) | 1967 |
| ათჭიდი | 84.17 | ვ. ტუმეი (აშშ) | 1969 |
| | | **ქალები** | |
| 100 მ | 11,0 | ვ. ტაიესი (აშშ) | 1968 |
| | 11,0 | ჩი-ჩენი (ტაივანი) | 1970 |
| | 11,0 | რ. მაისნერი (გდრ) | 1970 |
| | 11,0 | რ. შტეხერ-მაისნერი (გდრ) | 1971 |
| 200 მ | 22,4 | ჩი-ჩენი (ტაივანი) | 1970 |
| 400 მ | 51,0 | მ. ნეფვილი (იამაიკა) | 1970 |
| 800 მ | 1.58,3 | ჰ. ფალკი-იანცე (გფრ) | 1971 |
| 1500 მ | 4.09,6 | კ. ბურნელაიტი (გდრ) | 1971 |
| **თარჯრბენი** | | | |
| 100 მ | 12,6 | კ. ბალცერი (გდრ) | 1971 |
| 200 მ | 25,8 | პ. კილბორნი (ავსტრალია) | 1969 |
| | 25,8 | ა. იანსი (გდრ) | 1970 |
| | 25,8 | ტ. სუკნევიჩი (პოლონეთი) | 1970 |
| **ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 42,8 | აშშ-ს ნაკრები (ბ. ფერელი, ბ. ბეილსი, მ. ნეტერი, ვ. ტაიესი) | 1968 |
| 4×400 მ | 3.30,8 | ინგლისის ნაკრები (რ. სტირლინგი, პ. ლოუ, დ. სიმპსონი, ლ. ბოარდი) | 1969 |
| **ხტომა** | | | |
| სიმაღლეზე | 192 | ი. გუზენბაუერი (ავსტრია) | 1971 |
| სიგრძეზე | 684 | ჰ. როზენდალი (გფრ) | 1970 |
| **ტყორცნა** | | | |
| ბადრო | 64,88 | ფ. მელნიკი (სსრ კავშირი) | 1971 |
| შუბი | 62.40 | ე. გორჩაკოვა (სსრ კავშირი) | 1964 |
| ბირთვი | 20.43 | ნ. ჩიჟოვა (სსრ კავშირი) | 1969 |
| ხუთჭიდი | 54.06 | ბ. პოლაკი (გდრ) | 1970 |

## საუკეთესო საზოგადოებრივი მწვრთნელი

1971 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, რიგის საუკეთესო საზოგადოებრივი მწვრთნელის სიგელი საფეიქრო მრეწველობის ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა ვ. რუტკმა მოიპოვა. რუტკი გამუდმებით ზრუნავს იმისთვის, რომ მისი ქარხნის კოლექტივი ყველაზე სპორტული იყოს რაიონში და ოცნება აუხდა კიდეც: კოლექტივს რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

რუტკი მაგიდის ჩოგბურთის დიდი მოყვარულია, მაგრამ ქარხანაში მარტო ეს სახეობა როდია დანერგილი. როგორც ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარეს, რუტკს თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია კარგი პირობების შექმნა ყველა სპორტული სექციის მეცადინეობისთვის. „ადამიანს ჩვენ უნდა გავუღვივოთ სპორტისადმი ინტერესი, თუ თვითონ არ არის ამით დაინტერესებული", — ამბობს იგი. მართლაც სექციებში მეცადინეობისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის წყალობით ბევრი „ფრენია" თავისი საწარმოს პატრიოტი გახდა და უკვე აღარ ფიქრობს ქარხნიდან წასვლას, რაც მთავარია, ახლა ისინი უკეთაც კი მუშაობენ.

ახალგაზრდობაში რუტკს კრივი და ფეხბურთი უფრო იტაცებდა, მაგრამ 50-იანი წლების დასაწყისში...

— „დაუგავამ" სემინარი მოაწყო მაგიდის ჩოგბურთის საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისთვის, რომელზეც ჩვენმა კოლექტივმა თავისი წარმომადგენლად გამგზავნა, — გვიამბობს რუტკი, — ქარხანაში დაბრუნების შემდეგ სექცია ჩამოვაყალიბე. საღამოობით დიდხანს ვთამაშობდით სასახლეში, სადაც ერთადერთი მაგიდა იდგა. ინვენტარის საქმე ჯერ კიდევ ცუდად გვქონდა. ფიზკულტურისთვის გამოყოფილი თანხა მაშინ მხოლოდ ფეხბურთს ხმარდებოდა.

არა, რუტკი სულაც არ არის ფეხბურთის წინააღმდეგი. ოღონდ იგი მოითხოვდა, რომ ყურადღება სამართლიანად განაწილებულიყო. ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე რომ გახდა, ყველა სექციას სათანადო პირობები შეუქმნა.

ახლა ქარხნის ყოველი მესამე მუშა ფიზკულტურელია. რეგულარულად ვარჯიშობენ ველოსიპედისტები, მოთხილამურეები, მძლეოსნები, ძალოსნები, ფრენბურთელები. მაგრამ სხვაზე მეტ წარმატებას ჯერჯერობით მაინც მაგიდის ჩოგბურთის ენთუზიასტებმა მიაღწიეს. კვირაში ორჯერ მათ განკარგულებაშია სააქტო დარბაზი, სადაც სამი მაგიდა დგას. სხვათა შორის, ეს მაგიდები თვითონ სპორტსმენებმა გააკეთეს, ისევე როგორც სპეციალური განათება და სხვა მოწყობილობები წვრთნისთვის. სამუშაოს დამთავრების შემდეგ შრომისა და სპორტის ვეტერანი რუტკი თავადაც იღებს ხელში პატარა ჩოგანს.

ქარხნის სექციაში 50-ზე მეტი თანრიგოსანი აღიზარდა, ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორები ვ. და ი. რეინსონები კი ოსტატობის კანდიდატები გახდნენ.

ფეიქართა მეტოქეები არიან ისეთი დიდი საწარმოების სპორტსმენები, როგორიცაა ა. პოპოვის სახელობის რადიოქარხანა, რიგის ვაგონმშენებელი ქარხანა. და მაინც, აგერ უკვე ზედიზედ მეთერთმეტე წელია მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და ქალაქის ლენინის რაიონის პირველობას მაგიდის ჩოგბურთში არ თმობს საფეიქრო მრეწველობის მოწყობილობის ქარხნის გუნდი, რომელსაც საზოგადოებრივი მწვრთნელი ვ. რუტკი ხელმძღვანელობს.

**ე. კეხრისი.**

რიგა.

## კაუნასის დინამოელთა ბაზა

კაუნასელმა მშენებლებმა დინამოელებს სამკორპუსიანი სპორტული კომპლექსი ჩააბარეს. ეს სიდიდით მეორე ნაგებობაა ქალაქში ცნობილი „სპორტჰალეს" შემდეგ.

სპორტული თამაშებისთვის მოწყობილია სპორტული მაზა, რომლის სიგრძე 36 მეტრია, სიგანე კი 24. ტრიბუნები 1500 მაყურებელს იტევს. იქვე გვერდით მოწყობილია საწვრთნელი დარბაზიც. სპეციალიზებული შენობა მიიღეს მოჭიდავეებმა და მოკრივეებმაც. ველოსიპედისტებისთვის მოეწყო ფიზიკური მომზადების დარბაზი და სახელოსნოები. კომპლექსში შედის აგრეთვე ტირი პისტოლეტით სროლისთვის.

სპორტულ კომპლექსთან რესპუბლიკაში პირველად მოეწყო ფინური აბანო ექიმისა და მასაჟისტთა კაბინეტებით, სასტუმრო. ვენტილაციასა და ჰაერის გათბობას ავტომატურად არეგულირებენ.

ახალ სპორტულ მაზაში ჩატარდება საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებიც.

კაუნასი.

## თეთრი ოლიმპიადის მისადგომებთან

# ნორვეგიელთა იმედები და ეჭვები

საპოროს ზამთრის ოლიმპიური თამაშები მოახლოვდა. ბოლო „თეთრი ოლიმპიადის" შემდეგ ოთხი წელი გავიდა. რა ცვლილებები მოხდა ამ ხნის მანძილზე სათხილამურო რბოლასა და ორჭიდში? როგორია ძალთა განაწილება ამ სახეობებში? ვინ ითვლება ფავორიტად? როგორ ემზადებიან ოქვენი ქვეყნის მრბოლელები და ორჭიდელები? ამ შეკითხვებით მიმართა საქდესის კორესპონდენტმა ოსლოში ს. ანდრეევმა ნორვეგიის სათხილამურო სპორტის ფედერაციის გენერალურ მდივანს პერ ლანდმარკს.

— განვლილი ოთხი წლის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად, — თქვა ბ-ნმა ლანდმარკმა, — მე მიმაჩნია კონკურენციის გაძლიერება რბოლისა და ორჭიდის აღიარებულ ლიდერებს შორის. ეს ეხება როგორც ცალკეულ სპორტსმენებს, ისე გუნდებს. დღეს გამარჯვებას მოიპოვებს ის, ვისაც არაფერში ხელი არ მოეცარება. მაგრამ მაშინაც კი ჩემპიონსა და მეორე ადგილზე გასულს შორის სხვაობა დიდი არ იქნება. მე იმასაც ვფიქრობ, რომ საპოროში ერთსა და იმავე სპორტსმენს ალბათ ვერც ისე ხშირად ვიხილავთ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

სათხილამურო რბოლაში უდავო ფავორიტები არიან საბჭოთა კავშირის, გდრ-ის, შვეციის, ფინეთისა და, რასაკვირველია, ნორვეგიის წარმომადგენლები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გდრ-ის მრბოლელთა პროგრესი: ბოლო წლებში ისინი სერიოზულ მეტოქეობას უწევენ ყველას, სათხილამურო ბილიკების საქვეყნოდ აღიარებულ ოსტატებსაც კი.

ორჭიდზე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ, ნორვეგიელები, ამ სახეობაში გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით. ჩვენი მოთხილამურეები უფრო „სპეციალიზაციისკენ" არიან გადახრილნი, ესე იგი, მარტო რბოლების ან ტრამპლინიდან ხტომისკენ. ამ პირობებში ძნელია ითქვას, ვინ შეძლებს ინსბრუკის ოლიმპიადის ჩემპიონის ტორმოდ კნუტსენის წარმატების გამეორებას. სახელები? არა, ვერ დავასახელებ, — იღიმება პერ ლანდმარკი, — ამგვარი წინასწარმეტყველება მუდამ საეჭვოა.

და, მაინც, ნორვეგიელ მრბოლელთა შორის მე გამოვყოფდი ოდ მარტინსენს, ოღონდ არა როგორც „სუპერმრბოლელს". ეს სპორტსმენი ცნობილი გახლავთ ნიჭით, რომ საუკეთესო ფორმას სწორედ ყველაზე საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის მიაღწიოს. ამას გარდა, იგი მუდამ გამოირჩეოდა გამარჯვებისკენ სწრაფვით.

ორჭიდელთა შორის ამავე თვისებებით გამოირჩევა კორეულავ მერგი. იგი თამამად შეიძლება ნორვეგიის გუნდის ლიდერად დავასახელოთ.

მრბოლელებიცა და ორჭიდელებიც ოლიმპიადისთვის განსაკუთრებით გულმოდგინედ ემზადებიან. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ საწვრთნელ მეცადინეობათა მეთოდიკაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მრბოლელები წლეულს განსაკუთრებულ ყურადღებას ძალისმიერ მომზადებას აქცევდნენ. ადრე დაიწყო მუშაობა გორგოლაჭებიანი თხილამურებით. შედეგებს საპორო გვიჩვენებს. ნორვეგიელი ორჭიდელები, სხვა ქვეყნების სპორტსმენებისგან განსხვავებით, მრბოლელებთან და მხტომელებთან ერთად როდი ვარჯიშობენ. მეცადინეობა ინდივიდუალურად ტარდება სპეციალურად შექმნილი კომიტეტის ხელმძღვანელობით.

სპორტის ზამთრის სახეობების პოპულარობა ნორვეგიაში, რომლის სპორტსმენებმაც 1968 წლის „თეთრ ოლიმპიადაში" გუნდური გამარჯვება მოიპოვეს, საყოველთაოდ ცნობილია. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი დიდი ინტერესი მომავალი თამაშებისადმი, — თქვა დასასრულ ლანდმარკმა.

SAPPORO'72

# ციგებით მედლებისკენ

ამ ბოლო ხანს საციგაო სპორტი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ინტენსიურად განვითარდა. მას ყურადღება მიექცა ისეთ ტრადიციულად სპორტულ ქვეყნებშიც, როგორიც სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია არიან. ეს რეალურ შესაძლებლობას ქმნის საიმისოდ, რომ საპოროს ოლიმპიურ თამაშებში ძალიან მაღალი შედეგები იქნეს ნაჩვენები, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მაღალი კლასის სპორტსმენთა ჯგუფი და სპორტის ამ სახეობაში ძალთა თანაფარდობა შეიცვალოს. უწინდელზე ძლიერ გუნდებს გამოიყვანენ ოლიმპიადის ორგანიზატორი ქვეყანა — იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც მიეცა 1976 წლის ზამთრის ოლიმპიადის (დენვერი) ჩატარების უფლება.

მოკლედ ასე დახატა ზამთრის სპორტის ამ სახეობის მდგომარეობა საპოროს ასპარეზობის წინ ვენაში საქდესის კორესპონდენტთან ვ. სოლოვიოვთან ტელეფონით საუბრის დროს საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, ენთუზიასტმა სპორტსმენმა, დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა ბერტ იზატიჩმა. იგი პატარა ქალაქ როტენმანში ცხოვრობს.

ბოლო ოთხი წლის მანძილზე მომხდარი ცვლილებები, პრეზიდენტის აზრით, პირველ ყოვლისა დაკავშირებულია ახალი „საყოველთაო" ხელოვნურსაფარიანი საციგაო ტრასების აგებასთან კენიგზეესა (გფრ) და ობერჰოფში (გდრ). სპორტსმენთა რეგულარულმა საწვრთნელმა მეცადინეობებმა და შეჯიბრებებმა ასეთ ტრასებზე ახალი პერსპექტივები დასახა შედეგების ამაღლებისთვის და წამყვან სპორტსმენთა მაჩვენებლებში სხვაობის უკიდურესად შემცირებისთვის. ეჭვი არ არის, ეს გავლენას მოახდენს საპოროს ასპარეზობის შედეგებზეც. მომავალ თამაშებში მაჩვენებლები უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ინსბრუკსა და გრენობლში იყო. ოლიმპიური სტარტების მონაწილეებს მართლაც წამის მეასედებისთვის მოუწევთ ბრძოლა.

ძირითადი საერთაშორისო შეჯიბრებები — წინაოლიმპიური მზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპი — ჯერ კიდევ არ გამართულა. ამიტომ „ობიექტური ოლიმპიური" პროგნოზის გამოთქმა მეტისმეტად სარისკო საქმეა, — დასძინა პრეზიდენტმა.

ერთი რამ ცხადია, — განაცხადა ბ. იზატიჩმა, — ოლიმპიური ჯილდოების პრეტენდენტთა პირველ რიგებში კვლავინდებურად ცნობილი გამოცდილი მრბოლელები იქნებიან. ცალკეულ სპორტსმენთა დასახელება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. მოწინავეთა შედეგები ძალიან მჭიდროა. ამიტომ გამარჯვება მხოლოდ მას შეიძლება დარჩეს, ვინც მიაღწევს ისეთი კომპონენტების ყველაზე ოპტიმალურ შეხამებას, როგორიცაა სპორტული ფორმა, გამარჯვებისკენ სწრაფვა, რეაქციის სისწრაფე და გამოცდილება.

როცა ავსტრიის მოციგავეთა ოლიმპიური გუნდის მზადებაზე ლაპარაკობდა, პრეზიდენტმა სინანულით აღნიშნა, რომ „სახსრების შეზღუდვის გამო ამ ქვეყნის სპორტსმენები სხვა სახელმწიფოების გუნდებივით ინტენსიურად ვერ ემზადებიან. ამიტომ მათი წვრთნა იფარგლება მხოლოდ ავსტრიის ჩემპიონატით და კიდევ რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებით. ფინანსური შესაძლებლობები გუნდის სპეციალური შეკრებების მოწყობის უფლებას არ იძლევა. სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სპორტსმენთა დამოუკიდებელი მზადება საპასუხისმგებლო შეჯიბრებების წინ. ამასთან მნიშვნელოვანია, — ხაზგასმით აღნიშნა იზატიჩმა, — რამდენად კეთილსინდისიერად შეასრულებენ სპორტსმენები მწვრთნელების მიერ დასახულ ინდივიდუალური მზადების გეგმებს.

გუნდის ხერხემალს კვლავინდებურად შეადგენენ მანფრედ შმიდი და იოზეფ ფაისტმანტლი, რომელთაც პერსპექტიული ახალგაზრდობა „მიამაგრეს".

ამას წინათ პრეზიდენტი საბჭოთა კავშირში იყო. ახლა, როცა ჩვენში საციგაო სპორტის განვითარებას ახასიათებდა, მან აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, ვერ დაესწრო საბჭოთა სპორტსმენთა საწვრთნელ მეცადინეობებს. მიუხედავად ამისა, სპეციალისტების საერთო შეხედულების მიხედვით, იზატიჩს მიაჩნია, რომ, საბჭოთა მოციგავეები „კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ". საწვრთნელ მეცადინეობათა მაღალი ინტენსივობა, თანმიმდევრულობა ცალკეული ელემენტების დამუშავებისას და სპორტსმენთა დიდი მონდომება სსრ კავშირში სპორტის ამ სახეობის პოპულარობას მოწმობს, საწვრთნელ მეცადინეობებზე მოპოვებული შედეგები კი საუცხოო პერსპექტივებს ქმნის მისი შემდგომი განვითარებისთვის. სსრ კავშირში სტუმრად ყოფნის დროს იზატიჩი დარწმუნებულა, რომ საციგაო სპორტს აქ დიდი ყურადღება ექცევა, მასობრიობა კი კარგი საწინდარია საიმისოდ, რომ ახლო მომავალში მაღალი საერთაშორისო კლასის სპორტსმენები გვეყოლება.

სპორტის ამ სახეობაში, — ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა — უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობას. საბჭოთა გუნდს კი ჯერჯერობით ამ მხრივ გამოცდილება აკლია. ეჭვი არ არის, თქვენი სპორტსმენები ამ ნაკლსაც გამოასწორებენ, შემდეგ კი უძლიერესებს ღირსეულ მეტოქეობას გაუწევენ და არსებით გავლენას მოახდენენ ნებისმიერი რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში საპრიზო ადგილების განაწილებაზე.



თეთრი ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ფინეთის სპორტსმენები გამოვლენ ორიგინალური ფორმით (მარცხნივ და შუაში), რომლის შექმნაზე ქვეყნის საუკეთესო სპეციალისტები და მოდელიერები მუშაობდნენ. ყოველდღიურ ოლიმპიურ ცხოვრებაში კი მათ სხვა სპორტული ფორმა ექნებათ (მარჯვნივ).

## საჯდესის კორესპონდენტი

# შვედების ოპტიმიზმი

საქდესის კორესპონდენტმა შვეციაში მ. კოსოვმა შემდეგი შეკითხვებით მიმართა ამ ქვეყნის მოციგურავეთა კავშირის თავმჯდომარეს გეორგ პეტერსონს:

1. არიან თუ არა მზად შვეციის მოწინავე მოციგურავეები და როგორია მათი შანსი საპოროს ოლიმპიურ თამაშებში?

2. როგორი იქნება ძალთა განაწილება საპოროში? რა პროგნოზებს გამოთქვამდით თამაშებში გამარჯვებულთა შესახებ?

პეტერსონმა შარშან შეცვალა სვენ ლოფტმანი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ამ კავშირის თავმჯდომარე იყო. ახლა გაცხარებული მზადების დღეებია, მაგრამ პეტერსონმა მაინც სიამოვნებით შეასრულა თხოვნა. იგი კატეგორიულად როდი გამოთქვამს თავის აზრსა და პროგნოზებს. „ბევრი რამ ჯერ კიდევ შეიძლება შეიცვალოს, — ხაზგასმით აღნიშნავს თავმჯდომარე, — ყველა მეტოქე საშიშია. შეიძლება თავი გამოიჩინონ ჩვენმა საბჭოთა მეგობრებმაც, თუმცა ბოლო წლებში მათი შედეგები საკმაოდ მოკრძალებული იყო".

შვედ მოციგურავეთა სპორტულ ფორმაზე და ოლიმპიურ თამაშებში მათს შანსებზე პეტერსონმა თქვა:

— ამ სეზონში შვედ მოციგურავეებს წარსულში ცნობილი ჰოლანდიელი სპორტსმენი კეეს ბრუკმანი წვრთნის. იგი შრომისმოყვარე კაცია, სპორტსმენებთან კარგი ურთიერთობა აქვს. უკვე სეზონის დასაწყისშივე მოციგურავეთა უმეტესობამ უწინდელზე უკეთეს შედეგებს მიაღწია. საერთოდ კი იმედს ვამყარებ ჰას ბიორესზე, უვე კენიგზე, ერან კლასონზე, იონი ჰეგლინზე. შეიძლება თავი გამოიჩანოს იუჰან გრანატმაც. ამ სპორტსმენებს რაიმე ჯილდო უნდა ხვდეთ. შეიძლება ოქროსი ვერა, მაგრამ სხვა მედლები კი უთუოდ უნდა მოიპოვონ.

ოლიმპიადის სავარაუდო ჩემპიონებზე ლაპარაკი გეორგ პეტერსონმა არდ სხენკით დაიწყო. სწორედ მას ანიჭებს უპირატესობას 1500 და 5000 მეტრზე. სხენკს წარმატების დიდი შანსი აქვს 10-კილომეტრიან დისტანციაზეც, მაგრამ ოთხი დღის მანძილზე თანაბარი ძალით ბრძოლა ძნელია. შემდეგ პეტერსონმა დაასახელა ნორვეგიელები სტენ სტენსენი და დაგ ფორნესი, მათს მერე კი წინა თამაშებში ამ დისტანციაზე გამარჯვებული ჰეგლინი (პეტერსონის აზრით, ამ უკანასკნელს მედლის იმედი უნდა ჰქონდეს როგორც „მარათონში", ისე 5000-მეტრიან დისტანციაზე). 10 კმ-ზე რბოლაში სხენკის გარდა პრეტენდენტებად ითვლებიან მისი თანამემამულენი იან ბოლსი და კეეს ფერკერკი. კარგი სტაიერი ჰყავთ იაპონელებსაც.

რაც შეეხება 500-მეტრიან დისტანციას, აქ კარგი შესაძლებლობები ჰქვს ერთ ათ მოციგურავეს მაინც. ამასთან, შედეგებში სხვაობამ წამის რაღაც მეასედები შეიძლება შეადგინოს. პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ერჰარდ კელერი. მაგრამ ძლიერი სპორტსმენები არიან ვალერი მურატოვიც, ფინელები სეპო ჰიანინენი და ლეო ლინკოვისიც, შვედები ბერიესი და კენიგი, შეიძლება გრანატიც. შემდეგ მოდის იაპონელი კეიიტი სუძუკი, რომელიც ჩვეულებრივ თებერვალში აღწევს საუკეთესო ფორმას. მხედველობაში უნდა მივიღოთ ამერიკელებიც.

შვედებმა რამდენადმე შეცვალეს ზამთრის თამაშებისთვის მზადების შემდგომი გეგმა, — თქვა დასასრულს პეტერსონმა. — სტოკჰოლმში ამინდი ძალიან ჭირვეულია, რის გამოც ჩვენ უარი ვთქვით შეკრების დედაქალაქში ჩატარებაზე. მზადების ბოლო ეტაპს დავოსში გავივლით იანვარში.

საპორო უკვე კარგა ხანია მზადაა ოლიმპიელთა მისაღებად. ქალაქი, ისევე როგორც მთელი იაპონია, მოახლოებული სპორტული ზეიმით ცხოვრობს. ქუჩები, მოედნები, სახლები, რომ არაფერი ვთქვათ სპორტულ ნაგებობებზე, ნაირფერი ოლიმპიური სამოსითაა მორთული. აქ ყველაფერი ერთ აზრს, ერთ იდეას ემსახურება — სპორტმა კიდევ უფრო უნდა დააახლოოს სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის ადამიანები.



სურათზე: საპორო ოლიმპიურ სამოსელში.

# ტექნიკა გამარჯვების საწინდარია

მოფარიკავეებს, როგორც იტყვიან, არდადეგები დაუმთავრდათ და საფარიკაო დარბაზში კვლავ აწკრიალდა ფოლადის იარაღი. დიახ, მუშკეტერთა სპორტის წარმომადგენლებს იანვარში ბევრი საინტერესო ასპარეზობა ელით. მათგან ერთ-ერთი ცენტრალური გახლავთ სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელმაც გუშინ ვორონეჟში აიღო სტარტი.

ამ შეჯიბრებას წინ უძღოდა საქართველოს თასის გათამაშება, რომელშიც, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ახალგაზრდა სპორტსმენებმა მოსინჯეს ძალები. რა თქმა უნდა, კმაყოფილები არა ვართ მათს მიერ ნაჩვენები შედეგებით, მაგრამ, რას იზამ, ჯერ კიდევ გამოუცდელ მოფარიკავეთაგან მეტს არც ველოდით.

და აი, თბილისის ახალ საფარიკაო დარბაზში სარბიელზე გამოვიდნენ იუნიორები. რესპუბლიკის ახალგაზრდების ეს ვაჟკაცობა წინ უსწრებს სსრ კავშირის ჩემპიონატს, რომელიც 28 იანვარს დაიწყება ყაზანში.

პირველ დღეს შეჯიბრებაში ხმლით მოფარიკავეები ჩაებნენ. როცა 9 სპორტსმენმა გაიკვლია გზა ფინალისკენ, მათ შორის მხოლოდ ერთი სპორტსმენი იყო ქუთაისიდან და ერთიც რუსთავიდან. დანარჩენები თბილისელები იყვნენ. რუსთაველმა ი. ბეშკენაძემ მართალია, ბოლო, IX ადგილი დაიკავა, მაგრამ ოსტატობით არავის ჩამოუვარდებოდა. მართლაც, ამ ბოლო ხანებში რუსთაველმა მოფარიკავეებმა საკმაოდ აიმაღლეს კლასი. თუნდაც ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების კანდიდატი, რაპირისტი ტ. ნოზაძე რუსთავიდანაა, უკვე სასიხარულოა. რა თქმა უნდა, ეს მწვრთნელ გ. დავითიანის დიდი დამსახურებაა. იგი ენერგიასა და მონდომებას არ იშურებს ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისთვის.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხმლით მებრძოლთა შორის გაიმარჯვა თბილისელმა თ. ესართიამ. მან ყველა შეხვედრა მოიგო ფინალში. მაგრამ, უნდა ითქვას, ესართიას ბევრი მუშაობა სჭირდება ტექნიკის კიდევ უფრო დახვეწისთვის.

საკმაოდ აუმაღლებია ოსტატობა 11 ადგილზე გასულ თბილისელ თ. მორჩილაძეს. შეჯიბრების აღმოჩენა იყო ქუთაისელი თ. ბობოხიძე. ეს სპორტსმენი დაჯილდოებულია ყველა მონაცემით, რაც მოფარიკავეს ესაჭიროება, მაგრამ ტექნიკური მომზადება მაინც აკლია. და მაინც, ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისელმა დ. აივაზოვმა. ეს ალბათ ერთადერთი ხმლით მოფარიკავე იყო ამ შეჯიბრებაში, რომელიც ტექნიკურად და ტაქტიკურად ლამაზად, გააზრებულად ფარიკაობდა. ეს სპორტსმენი გამოირჩევა სისწრაფით, მოქნილობით და ლაღი მანერით, რაც იმის საწინდარია, რომ მომავალში კიდევ ერთი ჩინებული ოსტატი გვეზრდება.

ა. გურული.

# გორელებმა საქმიანობა შეაჯამეს

ჩატარდა გორის ფიზკულტურული აქტივის კრება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად. აქტივის კრება გახსნა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ნ. ონიაშვილმა.**

საკითხზე — „საქართველოს V სპარტაკიადაში გორის სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", მოხსენებით გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მეყანწიშვილი.**

მომხსენებელმა გაანალიზა საქართველოს სპარტაკიადაში წარგზავნილი გორელი სპორტსმენების არასახარბიელო გამოსვლა და გააკრიტიკა ფიზკულტურული კოლექტივები სპორტის მასობრიობაში არადამაკმაყოფილებელი მუშაობისთვის.

— ამ ბრალდების ჭეშმარიტება, — თქვა გ. მეყანწიშვილმა, — ჩვენ დავაზუსტეთ საქალაქო თუ შიდასაკოლექტივო სპარტაკიადებში, დროულად მივუთითეთ ამხანაგებს მიეღოთ კონკრეტული ზომები მუშაობის გაუმჯობესებისთვის, მაგრამ მათგან ჯერჯერობით სასიკეთოს ვერაფერს ვხედავთ.

ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში დამსახურებული წვლილი შეაქვთ პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული კლუბის, ბამბეულის კომბინატის, საკონსერვო კომბინატის, მე-9 სამშენებლო ტრესტის, ბავშვთა სპორტსკოლის და სხვა ფიზკულტურულ კოლექტივებს მათ ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს გულთან მიაქვთ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სიკეთე და დამსახურებული შედეგებიც აქვთ.

მეყანწიშვილმა მოწინავეთა რიცხვში დაასახელა აგრეთვე, პირველი, მეორე, მეშვიდე, მეცხრე და მეთერთმეტე საშუალო სკოლების ფიზკულტურული ორგანიზაციები. გააკრიტიკა „სპარტაკის", „დინამოს" და „ლოკომოტივის" ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობა, აღნიშნა, რომ მათ წლების განმავლობაში არაფერი გაუკეთებიათ. ილაპარაკა ზოგიერთ სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილების დაბალ დონეზე, სპორტული ბაზების არადამაკმაყოფილებლად გამოყენებაზე.

მომხსენებელმა საკმაო დრო დაუთმო პედინსტიტუტის ფიზკულტურელთა საქმიანობის დახასიათებას. მან თქვა: დღის განყოფილების ყველა 554 სტუდენტი „ბურევესტნიკის" წევრია. მუშაობს 16 სპორტული სექცია, აგრეთვე, ბავშვთა ჯგუფები საზოგადოებრივ საწყისებზე. ინსტიტუტის სპორტულმა კლუბმა მოიპოვა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. აქ მოამზადეს 1 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 3 სპორტის ოსტატი, 32 პირველთანრიგოსანი...

ქალაქის სპორტულ საზოგადოებათა შორის წამყვანი ადგილი უკავია „განთიადს", რომელიც 4.500-ზე მეტ წევრს ითვლის. განთიადელები აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ ღონისძიებებში. მათი ქართული, თავისუფალი და სამბოს მოჭიდავეები მესამე წელია საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები არიან. წარმატებით მუშაობენ ტურიზმის, ველოსპორტის, მოტოსპორტის, სროლისა და სასტენდო სროლის სექციები...

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს და საქმიანი შენიშვნები გამოთქვეს პედინსტიტუტის რექტორმა **გ. ხარაულმა,** სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონმა **ს. ქარელმა,** კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა **რ. ნინოშვილმა,** „დილას" ფეხბურთელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **გ. გაბუნიამ,** განათლების განყოფილების გამგემ **ვ. ზექალაშვილმა,** საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ჭიდაობა სამბოში **გ. ბაპიტაშვილმა,** ბამბეულის კომბინატის პარტბიუროს მდივანმა **ხ. გუდაძემ,** საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ვ. ბალავაძემ.**

აქტივის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ქ. ქრისტესიაშვილმა.**

მიღებული იქნა ღონისძიება მომავალი მუშაობის გაუმჯობესებისთვის.

**ი. თევდორაშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**

გორი.

## ობიექტივში — მსოფლიო



ძაღლი უკიდურესი ჩრდილოეთის ქვეყნების მკვიდრთა საუკეთესო მეგობარია. იგი მათი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია, ერთგული, მოკავშირე და დამხმარე. მაგრამ ამ თვინიერ ცხოველს სარგებლობის მოტანა თურმე სპორტსმენებისთვისაც შეუძლია.

ს უ რ ა თ ზ ე თქვენ ხედავთ, როგორ იყენებენ ძაღლებს ვარჯიშის დროს დანიელი მოციგურავეები.



ეს მატჩი დამთავრდა ფეხბურთისთვის უჩვეულო ანგარიშით — 7:6. ცნობილი პროფესიონალი ველოსიპედისტების შეხვედრამ ჰოლანდიის სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს გასაგებიც უნდა იყოს, ვინაიდან ფეხბურთს გატაცებით თამაშობდნენ სახელმოხვეჭილი ოსტატები მერქსი, იანსენი და სხვები. მატჩის მთელი შემოსავალი გადაეცა ჰოლანდიის ბავშვთა დაცვისა და გულით დაავადებულთა სპეციალურ ფონდს.

ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნიდან — ველოსიპედისტი-ფეხბურთელები სპრინგელი, მერქსი და იანსენი.

### 14 ჯარიმა ერთ მატჩში

ამხანაგური მატჩის დამთავრება ვერ შეძლო ორმა ინგლისურმა გუნდმა — საფოსტო მსახურთა და შოფრების კოლექტივებმა. შუა თამაშში მინდორზე გამოვიდნენ პოლიციელები და საქმის გასარჩევად წაიყვანეს ერთბაშად 14 მოთამაშე. თურმე, მათ ისე დაუყენებიათ თავიანთი მანქანები, რომ ერთ-ერთ მახლობელ ქუჩაზე გიგანტური „საცობი" შექმნილა.

მსაჯი იძულებული იყო გაეუქმებინა თამაში. ერთ-ერთმა მოთამაშემ სინანულით თქვა: „რად უნდოდათ ასეთი სანქციები? ჩვენ ხომ ერთ მშვენიერ დღეს შეგვეძლო ამხანაგური მატჩი გვეთამაშა პოლიციის გუნდთან".

### ფორმაში შევიდნენ...

ფრედ — 3:3 — ითამაშეს ტაილანდის საფეხბურთო ასოციაციის ვეტერანთა ნაკრებთან იტალიის კლუბ „რომას" ფეხბურთელმა ქალებმა. იტალიელები მოქმედებდნენ ერთობ ენერგიულად და აგრესიულად. განსაკუთრებით გამოირჩეოდა გუნდის კაპიტანი მონიკა კარნერი, რომელმაც 2 ბურთი გაიტანა (1—პენალტით). ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა ხატჩის შედეგით. ამ შეხვედრამდე ერთი დღით ადრე იტალიელმა ქალებმა გამანადგურებელი ანგარიშით წააგეს ტაილანდის მოსწავლეთა გუნდთან — 1:8. ეტყობა, ბიჭები მატჩს ზედმეტი სერიოზულობით მოეპყრნენ.

### რატომ უხმაუროდ?

როდის დაანებებს პელე ფეხბურთის თამაშს თავს? გამოჩენილი ფეხბურთელი შარშან გამოეთხოვა ბრაზილიის ნაკრებს. ამ გამოსათხოვარი მატჩის ცერემონიალი საზეიმო იყო, მაგრამ ეროვნულ ტრაურსაც წააგავდა. ახლა პელემ უნდა დატოვოს თავისი მშობლიური „სანტოსიც", მაგრამ მისი ახლოესი მეგობრები აცხადებენ, რომ „მეფეს" სურს ეს გამოთხოვება უხმაუროდ მოხდეს ერთ-ერთ რიგით მატჩში.

რატომ? „სანტოსი" ახლა ფინანსურ სიძნელეებს განიცდის, ხოლო პელეს მოსალოდნელი გამოთხოვება, რასაკვირველია, დიდძალ მაყურებელს მიიზიდავს. აბა, რომელი ბრაზილიელი გულშემატკივარი გამოუშვებს პელეს ბოლო მატჩს? სავსე ტრიბუნები კი საუკეთესო ფინანსური დახმარება იქნება კლუბისთვის.

ალბათ ამიტომაა, რომ არ ასახელებენ გამოსათხოვარი მატჩის დღეს.

### ასეთია ადათი

ფინეთის ფოტოკორესპონდენტთა შორის არსებობს ადათი — აირჩიონ წლის „ყველაზე კარგი" და „ყველაზე უარესი" ობიექტი სპორტსმენთა შორის. უარესს გადასცემენ ხოლმე... ლიმონს.

წლის საუკეთესო ფოტოობიექტად რეპორტიორებმა აირჩიეს მოთხილამურე ქალი მარიატა კაიოსმაა „ფოტოკორესპონდენტთა მიმართ უაღრესად დადებითი დამოკიდებულებისთვის". „უარყოფითი დამოკიდებულებისთვის" ლიმონი გადაეცა ევროპის ჩემპიონს 5 და 10 კილომეტრებზე რბენაში, მძლეოსან ი. ვაატაინენს.

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### „როზარიო" — არგენტინის ჩემპიონი

პირველად არგენტინის ფეხბურთის ისტორიაში ქვეყნის ჩემპიონობა დარჩა პროვინციულ „როზარიო სენტრალს" (ქ. სანტა-ფე), რომელმაც გაასწრო „ბოკა ხუნიორსს", „რივერ პლეიტს", „ინდეპენდიენტეს", „რესინგსა" და სხვა ცნობილ გუნდებს.

„როზარიოს" ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს. მას წვრთნის წარსულში კარგად ცნობილი ფეხბურთელი ა. ლაბრუნა, მაგრამ არგენტინელი მიმომხილველები მაინც აღნიშნავენ, რომ ბუენოს-აირესის გუნდებს ასე ცუდად არასოდეს უთამაშიათ.

### შესვენებას არ საჭიროებს

იტალიის ნაკრების მეკარემ დ. ძოფმა, რომელიც „ნაპოლიში" თამაშობს, თავის კლუბში ზედიზედ 156 კალენდარული მატჩი ჩაატარა. მანამდე იგი II ლიგაში თამაშობდა, სადაც ასევე შეუსვენებლად გამოვიდა 36 მატჩში.

ამით ძოფი ემუქრება იტალიურ რეკორდს, რომელიც 1935-43 წლებში დაამყარა ცნობილმა თავდამსხმელმა ფონიმ. მან ზედიზედ ითამაშა 229 მატჩში.

### ფეხბურთის ასწავლის

„მარიო კორსო გასწავლით ფეხბურთს, სულ 23 ლექცია" — ასეთი თავისებური სათაური აქვს წიგნს, რომელიც ამას წინათ გამოიცა იტალიაში და უკვე რამდენიმე ენაზე ითარგმნა. გამოჩენილი ფეხბურთელი კორსო (მილანის „ინტერნაციონალე") წიგნში აღწერს არა თავის მდიდარ კარიერას, არამედ საინტერესოდ ასწავლის ფეხბურთის თამაშს ახალგაზრდებს.

### კონტრაქტი 15 თვით

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა მ. ზაგალომ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი „ფლამენგოსთან". ხელშეკრულების თანახმად იგი 15 თვის მანძილზე იქნება ამ პოპულარული გუნდის სათავეში.

რაც შეეხება ბრაზილიის ნაკრებს, აქ ზაგალო ჯამაგირს არ იღებს და პერიოდულად უდგება ხოლმე მას სათავეში.

## ახალი ამბები

● პრაღა, 14 იანვარი. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მეოთხედფინალურ მატჩში რიგის ტტტ-ს კალათბურთელ ქალთა გუნდმა აქ სძლია ადგილობრივ „სპარტას" — 74:55 (29:20).

● ულიანოვსკი, 14 იანვარი. სტარტი აიღო საერთაშორისო ტურნირმა ბურთიან ჰოკეიში. პირველ შეხვედრაში საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა ნორვეგიის გუნდი — 1:0.

● მოსკოვი, 14 იანვარი. შედგა 1973 წლის უნივერსიადის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც სათავეში უდგას საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ვ. ბოგატიკოვი. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში 25 კაცია, მათ შორის, ბევრი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელი, საბჭოთა, საზოგადოებრივი და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99 81-71, 93 97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-98-81, კორექტორები — 93-97-49.